ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:№49. 49252732
თარიღი:30/09/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში სტაჟიორის თიკო ჩირგაძის მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84^1 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებისა და „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების მე-4, მე-5, მე-13, მე-18 მუხლებისა და 27-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. თიკო ჩირგაძე - მიღებული იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში სტაჟიორად, 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 438 ლარის ოდენობით.

2. სტაჟიორის მენტორად განისაზღვროს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ალექსანდრე დადუნაშვილი.

3. უფლება-მოვალეობები განისაზღვროს დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე /თან ერთვის/.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი